აქტი თიფლისის პირველ ნოტარიუს

~~275~~
244

287 1 244

287 1 244

დასკანირებულია
17.01.25

კიკი-სტუმარი კოსმოსიდან

ხვადაგვა გაზეთებიდან ცნო-ლი გახდა, რომ დიდი ხანი არ რის, რაც ბულგარეთს „ხვევია“ ცხოპლანეტელი არხება კაკი, რო-ელზეც მთელი ქვეყანა ალაპარაკ-ა.

ქალაქ პლოვდივის ცენტრში მდე-არე პატარა ბინაში ყოველდღი-რად მოდის ათობით წერილი. ბევრ ონვერტზე აწერია მხოლოდ ორი ილი: „პლოვდივი. კიკის“. ამის ოუხედავად უველა წერილი დანი-ნულებისამებრ ბარდება. ვინ არ ს, ან ხაიდან მოვიდა კიკი?

წლეულს იანვარში ამ ბინაში და-ყო უჩვეულო მოვლენები, რომე-ის პირველი და ერთადერთი მო-მე იყო თერთმეტი წლის გოგონა ანიელა. ერთ დამეს ღრმა ძილში ოფი გოგონა ძლიერმა ხმაურმა გა-ვიძა, მის ოთახში განლაგებული ნი-თები თითქოს შეიშლნენ — სხვა-ხმხვა ხაგნებმა დაიწყეს მოძრაო-ა, თოჯინებმა — ცეკვა. წიგნის ხარიზე დადგმული ხაათი ეს-ის ისრის გადმოვარდნას აპირებდა. შე-ინებულმა ბავშვმა ჩართო განათე-ა. ალიაქოთი შეწყდა.

მეორე დამით მის ოთახში ავეჯმა ხევ დაიწყო გადაადგილება. დანი-ელამ დილას მშობლებს აღელვებით ოუუვა უველაფერი, რაზეც მათზე რავითარი გავლენა არ მოუხდენია: ნუ ხულელობ, ფაიტალიას თავი აანებეო“. თუმცა მშობლებმა მა-ც გადაწყვიტეს ქალიშვილის ფსი-ატრთან მიყვანა, მაგრამ მომდევ-მეც, დილასაც და მამასაც გკჭერა.

ხულგარეთის ფსიქოტრონიკის ხა-ზოგადოების თავმჯდომარე კუბრატ ტომოვი ხრულიად ხეროზულად უდგება კიკის შემთხვევას. მისი ხიტყვებით, „უჩინარ კიკისთან კავ-შირი — სხვა ცხოვრების გამოვლე-ნაა. ჩვენ შევხდით გონიერ, ინ-ტელიგენტურ არხებას, რომელიც

— გეხმის თუ არა ჩვენი ლაპა-რაკი?

— დიახ.

— უველა მიღებულ ინფორმაცი-ას შენს პლანეტაზე ტელეპატიით გადასცემ?

— არა.

— რომელიმე სხვა გზით?

— დიახ.

— დიახ.

— ენა, რომლითაც თქვენ მე-ტყველებთ, ჰგავს თუ არა რომე-ლიმე მიწიერ ენას?

— არა.

— თქვენს პლანეტაზე უველანი ერთნაირნი ხართ?

— არა.

— ხულ მუდამ ცხოვრობთ?

— არა.

— მათ თქვენ დაეხმარეთ?

— დიახ.

— ამერიკელმა კოხმონავტებმა მთვარეზე ნახეს თუ არა უცხო-პლანეტელები?

— დიახ.

უცხოპლანეტელთა „ხტუმრობის“ ამბავი სხვა ქვეყნებშიც მოხდა. მაგალითად, შარშან ხამხრეთ ინგ-ლისის ფერმერთა შორის კვლავ გავრცელდა შემაშფოთებელი ხმე-ბი — მათი პურეულის მინდვრებში ხაიდუმლო „არამიწიერი“ ძალების ჩარევის ფაქტების შესახებ. ძა-ლებისა, რომლებიც ტოვებენ გამო-უცნობ კვალს — მკვეთრად მოხა-ზულ, იდეალური ფორმის წრეებს, რომლებშიც პურის თავთავები წა-წვენილი იყო. წრეები განსაკუთრ-ებით კარგად ჩანდა ზემოდან. უც-ნაური „წრეების“ აეროფოტოებმა მოიარა მრავალი გაზეთი და მდდარი ხაზრდო მისცა ჩვენს პლანე-ტაზე არამიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენელთა ბროკების შეხა-ხებ თეორიის მომხრეებს ხადისკუ-ხიოდ. როგორც ფაქტები მოწმო-ბენ, „ხაიდუმლო“ წრეები თითქ-მის უოველ წელს ჩნდება ხრულია-ად მოულოდნელ ადგილებში. წრე-ების დიამეტრი ზოგჯერ 50 მეტრს აღწევს და მდდარი ფანტაზიის მქონე ადამიანმა ახინი შეიძლება „მფრინავი თეფშების“ დაფრენის ადგილად ჩათვალოს. „მოხულთა“ თეორიის მხარეთა მომხრ[illegible]

„საქართველო“, 1990, 28/XII, №147.

წიგნის თარო

„იყო ასეთი სოფელი“

ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ აკაკი თოფურიას წიგნი — „იყო ასეთი სოფელი“. ეს არის ავტობიოგრაფიული ხასიათის მოგონების პირველი მონაკვეთი, რომლის მომდევნო ორი ნაწილი („სოფლიდან განშორებიდან განახლების ჟამამდე“. და „კათარზისი“), როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, მკითხველმა უახლოეს მომავალში უნდა მიიღოს.

სარეცენზიო წიგნი ამ მხრივ, ცხადია, ერთგვარი „სასინჯი ქვაა“. პირდაპირ უნდა ითქვას, იგი უაღრესად საინტერესო, მნიშვნელოვანი შენაძენია სოფლის თემაზე შექმნილი, ისედაც ღარიბი, ჭართული მეშუარული ლიტერატურის ფონდში.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამგვარი ლიტერატურის გამოცემა სამური საქმეა. მას დიდი გასაქანი და ფართო საბაბელი უნდა მიეცეს იმ უბრალო მოტივით, რომ შეშარიტი ისტორია, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიწეროს, როცა მეისტორიე, სხვა საამედო დოკუმენტურ წყაროებთან ერთად, ეყრდნობა ეპოქის უშუალო თვითმხილველის, მისი თანამედროვეობა და მონაწილის მეხსიერებაში შემორჩენილ მდიდარ ფაქტობრივ მასალებს.

დამოუკიდებელი საქართველოს მომავლის პერსპექტივების სწორად განჭვრეტისათვის აუცილებელია უპირველესად ობიექტურად შევიცნოთ და გავაცნობიეროთ წარსული თავისი მრავალწახნაგოვანი წიაღსვლებით, ერთმანეთისგან გამიჯნოთ ნეგატიური და პოზიტიური მოვლენები. სოფლის მეურნეობის განვითარების განვლილ ისტორიულ პროცესებზე ჩვენი ყოველი დასკვნა ფაქტობრივი მასალები კრიტიკული განსჯა-შეფასებიდან და საფუძვლიანი ანალიზიდან უნდა გამომდინარეობდეს.

სწორედ ამ თვალსაზრისით, კვლევა-ძიების სამომავლო მეცნიერული ინტერესების ასპექტით იქცევს ზემოხსენებული წიგნი ჩვენს, როგორც სოფლის ისტორიის სპეციალისტს, განსაკუთრებულ ყურადღებას. მასში მამულიშვილური გულისტკივილის ღრმა გრძნობაა ჩაქსოვილი.

მშობლიური სოფლის — სირიაჩჭონის კონკრეტულ მაგალითზე, ყოველგვარი „თვითშეთხზვის“, რაიმეს მიჩქმალვის ან შელამაზების გარეშე აკაკი თოფურიას მოგონების პირველ წიგნში სიმართლით და გულწრფელობით, ნამდვილი მწერლური ალღოთი და გონებამახვილობით არის ნაჩვენები 20-30-იანი წლების საქართველოს სოფლის ცხოვრების ზოგადი სახე, მისი ყოფითი დეტალები და ნიუანსები, რომლებიც კიდეც გზიბლავთ თავიანთი მიმზიდველობით და კიდეც გაღონებთ.

კითხულობთ წიგნს და თვალწინ ცოცხლდება ის ეტაპები, რომლებიც განვლო ჩვენმა სოფელმა 1921 წლიდან კოლექტივიზაციის პერიოდამდე. ნიუანსებით ეკონომიურად მოღონიერებული სოფლის დეკადანსი, მოგონების ავტორის მტკიცებით, დაიწყო ნელ-ნელა მარტივი, ელემენტარული, თითქოს „უჩინარი“ და უმნიშვნელო სოციალურ-შრომითი პროცესების პირველივე „ფაზიდან“, გაუცხოების, განუკითხაობის და გაუპატრონების „ბაცილების“ წარმოშობიდან.

„მახსოვს, — წერს ა.კ. თოფურია, — ერთხელ ანდრიას ლამაზი ხარები სევე ჰეჰენძის ურემს შეაბეს და კოოპერატივისათვის მარილის და ნავთის მოტანა მელიტონს დაავალეს... ბუნებრივად წაიშალა „ჩემის“ და „ჩვენის“ ერთმანეთთან შერწყმის შესაძლებლობა... მელიტონისათვის ხარებიც და ურემიც ნათხოვარი კი არ იყო, საერთოდ, საზოგადოებრივი საკუთრების ნაწილი. დაუდეს ურემზე ნავთის ორი ჯასრი, მისცეს მაღაზიის გამგის მიწერილობა ახალსენაკის სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობისადმი და უთხრეს: რაც შეიძლება ჩქარა წადი და ჩქარა მოდიო. დაჯდა გამზადებულ ურემზე მელიტონი და წავიდა. არც სასაბანეზე უზრუნვია და არც ხარების საკვებზე. ჩამოვიდა იმავე ღამეს შეგვიანებით. ხარებს ფერდები ჩავარდნილი ჰქონდა შიმშილისაგან, ურმის ღერძი კი ბორბლებს უსაბანებისაგან ლამის „შეეჯამა“.

კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების, შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის ადრე გატარებული ღონისძიებანი, ახალი დროის მესვეურების წინდაუხედაობის შედეგად, უმთავრესად მიმართული აღმოჩნდა საუკუნოებით ჩამოყალიბებული გლეხური მაღალი ზნეობის, მისი ხასიათის, ჩვეულებების, ტრადიციების „ხელის ერთი დაკვრით“ მოშლისა და მოსპობისაკენ. „ადათ-წესი, — სავსებით სწორად მიუთითებს ავტორი, — სახარების დაუწერელი წიგნი იყო, და, ამდენად, სასიცოცხლოდ მასულდგმულებელი ძალაც. ჭკვიანი და მუყაითი გლეხი ამ ძალს ეყრდნობოდა და ამ სახარებით საზრდოობდა“.

წიგნში არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკებისათვის, არამედ ყოველი კულტურული ადამიანისათვის მოიპოვება მასალა სულიერი კმაყოფილების მისაღებად და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. იგი ჩვენი წარსული ცხოვრების ბავშვობის გარიჟრაჟ[ის] დან ზოგადადამიანური ზნეობრ[ივ] პრინციპების ისეთი გამონათებ[ა] რომელიც ძალაუნებურად მოგონ[ებ]დებს მათი დაცვისა და აღორძ[ი]ნებისათვის სიბრძოლველად. ამ[ი]ცხადია, პირველ რიგში დამოუ[კი]დებელი საქართველოს უკვდა[ვ]ების დღევანდელ აქტუალურ ი[დ]ეებს ეხმიანება.

ამის დამადასტურებელია წიგნ[ი]ბოლო სტრიქონები: „უთავბოლ[ო] დაკარგული ყოველი სოფელი სა[ქ]რთველოს წარსულის, აწმყოს მომავლის შემაერთებელი ფესვ[ე]ბის ის გაწყვეტილი ტოტია, რ[ო]ლის კვნესა-გოდება ერის და ს[ა]შობლოს ზარებს უნდა უხმობდ[ე]და მათი ძლიერების შენარჩუნებ[ი]და უკვდავებისათვის. ახლა ეს [ზ]რები გვიხმობენ და გუგუნებ[ე]კედლეც“. ეს არის ავტორის იმედ[ი]ან, პატრიოტული მოწოდება [ა]ნასოფლელების შთამომავლების[ა]დმი წინაპართა ნაკვალევისაკენ [მ]საბრუნებლად, ოდესღაც ლამა[ზ]ხალხმრავალი, დოვლათიანი სო[ფ]ლის აღსადგენად და ახაყვავე[ბ]ლად.

აკაკი თოფურიას „იყო ასე[თი] სოფელი“ არ არის მოგონება ჩ[ვ]ულებრივი გაგებით. იგი, ჩვე[ნ] აზრით, უფრო დოკუმენტური პრ[ო]ზის ჟანრს განეკუთვნება და ა[ვ]ტორის მხატვრულ-პუბლიცისტ[უ]პათოსით მოწონებას იმსახურებს.

ელგუჯა ქვათაძე

პროფესორი, ისტორიის მეც[ნ]ერებათა დოქტორი.